ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №51

აბაშა, 2023 წლის 9 ოქტომბერი

აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 24–ე მუხლის პირველი პუნქტის "დ.გ" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს აბაშის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (სოფ. მარანჭალაში #9; #5 და #3 ქუჩებზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, სოფ. ნორიოში მაცხოვრისკარიდან სოფ. ძველი აბაშის მიმართულებით გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები, აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ნორიოში საბოკუჩაოს N2 და N3 ქუჩის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები, ქ. აბაშაში ჯორჯიკიას ქუჩისა და პატარა ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა) ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოების შესრულების ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს და შეადგენს 2 672 275 ლარს დღგ-ის გათვალისწინებით.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: გელა ხოშტარია